


2017 წლის მეორე კვარტლის

საინფორმაციო ბიულეტენი



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION



პროგრამები და
კონკურსები

მეცნიერების
ინტერნაციონალიზაცია
და საერთაშორისო
ურთიერთობები

ფონდის აქტივობები

- კომუნიკაცია
სამეცნიერო
საზოგადოებასთან
- საკანონმდებლო
ცვლილებები
- ექსპერტთა ბაზა

Rustaveli.org.ge



გამოცხადებული კონკურსები და პროგრამები

მეორე კვარტალში გამოცხადდა
9 კონკურსი.

გამოცხადდა ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსი



კონკურსის მიზნებია: საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება და პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე; ასევე, ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, ქვეყნის ისტორიის, კულტურის, დამწერლობის, ენისა და ლიტერატურის, არქეოლოგიისა და ხელოვნების, რელიგიის, სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური ტრანსფორმაციის თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება საერთაშორისო აკადემიურ ქსელში.

[იხ. კონკურსის პირობები >>>](#)

გამოცხადდა „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ საგრანტო კონკურსი



საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის საგრანტო კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალის, ეთნოგრაფიული მონაცემების მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლას, მათ მოძიებას, აღრიცხვასა და სისტემატიზაციას, ქართველი ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაციას და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვას ამ სფეროში. [იხ. კონკურსის პირობები >>>](#)

გამოცხადდა ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის შექმნას, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზს. დასაფინანსებელ კვლევას არ მოეთხოვება უშუალო კომერციული სარგებლიანობა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა წარმოადგენდეს სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესის საფუძველს. [იხ. კონკურსის პირობები >>>](#)



გამოცხადდა მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტით დაფინანსების კონკურსი



მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი აერთიანებს ფონდის მიერ 2016 წლის ჩათვლით ადმინისტრირებულ მოკლევადიან ინდივიდუალურ სამოგზაურო საგრანტო კონკურსს, საკონფერენციო საგრანტო კონკურსსა და სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსს.

კონკურსის მიზანია ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად, გაძლიერდეს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეეწყოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციასა და თანამშრომლობას, მეცნიერების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ახალი კადრების მეცნიერებაში მოზიდვასა და ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლებას. აგრეთვე, სამეცნიერო შრომების საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდვის შესაძლებლობის გაზრდა.

[იხ. კონკურსის პირობები >>>](#)

გამოცხადდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოს დაწესებისა და 2017 წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის“ კონკურსი

კონკურსის მიზანია საქართველოს და საერთაშორისო მკვლევართა წახალისება მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისა და ჩართულობის მიზნით, აგრეთვე გაწეული განსაკუთრებული მიღწევების დაფასებისათვის, საქართველოს მეცნიერებისა და საქართველოს შესახებ კვლევების წახალისებისა და პოპულარიზაციისათვის.

კონკურსი ითვალისწინებს ერთჯერადი ჯილდოთი მეცნიერის/კვლევითი ჯგუფის დაჯილდოებას.

[იხ. კონკურსის პირობები >>>](#)





გამოცხადდა ფონდისა და იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის

ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შესაძლებლობა მისცეს ქართველ სტუდენტებს შეასრულონ მათ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებული კვლევები, როგორც ფუნდამენტური, ასევე

გამოყენებითი მიმართულებით, მსოფლიოში ცნობილ იულიხის კვლევითი ცენტრის ბაზაზე. ამასთან, პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს გერმანულ მხარეს, მიიზიდოს საქართველოს უნივერსიტეტებიდან საუკეთესო სტუდენტები და ჩართოს ისინი სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობაში.

იულიხის ცენტრისა და ფონდის მიერ დაფინანსდება არაუმეტეს 3 მაგისტრანტისა და არაუმეტეს 3 დოქტორანტისა, რომლებსაც საშუალება ექნებათ ცენტრში სტაჟირების ფარგლებში განახორციელონ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების მომზადებასთან დაკავშირებული კვლევები და ასევე, ითანამშრომლონ იულიხისა და გერმანიის სხვა სამეცნიერო ცენტრების თუ უნივერსიტეტების მეცნიერებთან. [იხ.კონკურსის პირობები >>>](#)

გამოცხადდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი კონკურსი

ერთობლივი კონკურსის მიზანია საქართველოს და იტალიელ მეცნიერებსა და კვლევით ცენტრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ორი ქვეყნის მკვლევართა კოლაბორაციისა და მობილობის მხარდაჭერა.

საგრანტო დაფინანსება თანაბრად ნაწილდება CNR-სა და ფონდს შორის. ამასთან, CNR აფინანსებს იტალიელ მეცნიერებს, ხოლო ფონდი - მათ პარტნიორებს საქართველოს მხრიდან.

[იხ.კონკურსის პირობები >>>](#)





გამოცხადდა საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და ფონდის ერთობლივი კონკურსი - „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი (PICS)“

კონკურსის ფარგლებში ერთობლივი საპროექტო განაცხადის წარდგენა ხდება მეცნიერთა ორი ჯგუფის მიერ. ამათგან ერთი ჯგუფი უნდა შედგებოდეს CNRS-ში, ან მასთან ასოცირებულ ორგანიზაციებში/ლაბორატორიებში, მომუშავე საფრანგეთის მეცნიერებისგან, ხოლო მეორე ჯგუფი წარმოდგენილი უნდა იყოს, სხვა ქვეყნის მოქალაქე, მათი პარტნიორი მეცნიერებისგან.

[იხ. კონკურსის პირობები >>>](#)

გამოცხადდა ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსი

საგრანტო კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებსა და დოქტორანტებს:

ა) სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და ხარისხიანი სადოქტორო განათლების მიღებაში; ბ) გერმანელ კოლეგებთან ერთად სამეცნიერო ქსელის შექმნაში, საუკეთესო სამეცნიერო პრაქტიკის საერთაშორისო გაცვლის პროცესების გაუმჯობესების მიზნით; გ) თემატური ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებაში. [იხ. კონკურსის პირობები >>>](#)





გამოცხადებული კონკურსები და პროგრამები

მეორე კვარტალში
გამოვლინდა 2 კონკურსის
შედეგი.

გამოვლინდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები. [იხ. კონკურსის შედეგები](#)



გამოვლინდა 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამარჯვებულები

[იხ. კონკურსის შედეგები](#)





მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო ურთიერთობები

ფონდმა გააფორმა
ურთიერთთანამშრომლობის 3
მემორანდუმი

ფონდსა და იულიხის ცენტრს შორის შეთანხმებას ხელი
მოეწერა

2017 წელი ემდგნება საქართველო-გერმანიის
ურთიერთობებს. აღნიშნულთან დაკავშირებით
განხორციელდა რამდენიმე სამეცნიერო
თანამშრომლობის პროექტი. მათ შორის, 2017 წლის 5
ივნისს ხელი მოეწერა შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდისა და იულიხის კვლევითი ცენტრის
შეთანხმებას, რომელიც შეეხება საზაფხულო სკოლისა
და შემოდგომის ლექციების კურსის თანადაფინანსებას.



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - ფონდსა და მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიას შორის

21 აპრილს მემორანდუმი გაფორმდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიას შორის. შეთანხმების მიზანია კვლევებისა და განვითარების მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსა და მოლდოვას შორის. მხარეები ხელს შეუწყობენ და მხარს დაუჭერენ კვლევით მიმართულებებში მეცნიერებს შორის თანამშრომლობას თანასწორობისა და ორმხრივი სარგებლის გათვალისწინებით.



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - ბულგარეთისა და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდებს შორის



21-24 მაისს საქართველოს ესტუმრა ბულგარეთის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დელეგაცია - ბულგარეთის ეროვნული სამეცნიერო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე, გეორგი ვაისილოვი, ბულგარეთის ეროვნული სამეცნიერო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - დიანა კოპევა; საქართველოში ბულგარეთის ელჩის მრჩეველი დანტჩო მიტჩევი.

ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და ბულგარეთს შორის მეცნიერული თანამშრომლობის გაღრმავება, STI სექტორში დამატებით შესაძლებლობებზე დისკუსიის წარმოება და იდეების მიმოცვლა, ბულგარულ და ქართველ მეცნიერებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა და მეცნიერთა ქსელის ჩამოყალიბების წახალისება.

ევროპული კვლევების საბჭოს კონფერენცია - გამორჩეული მეცნიერების მხარდაჭერა - აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების რეგიონული ღონისძიება თბილისში

20-21 აპრილს გაიმართა ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები არიან ევროპული კვლევების საბჭოს აღმასრულებელი სააგენტო და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა.

ERC-ის კვირეული მიზნად ისახავს: საქართველოს და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების მონაწილეობის გაზრდას ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) მიერ ადმინისტრირებულ კონკურსებში.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ეროვნული სამეცნიერო ფონდის დელეგაციის ვიზიტი

25 აპრილს სამეცნიერო ფონდს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ეროვნული სამეცნიერო ფონდის დელეგაცია ფონდის ვიცე პრეზიდენტის ბატონი ლიუ ჩონგჩუანგის, ფონდის ევროპისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, ქალბატონი ფან იუნგჯისა და ფონდის აზიის, აფრიკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამების კოორდინატორი,



ბატონი ცძაო ჩუანგის შემადგენლობით.

გლობალური კვლევების საბჭოს მე-6 წლიური შეხვედრა

2017 წლის 29-31 მაისს ქ. ოტავაში (კანადა) გაიმართა გლობალური კვლევების საბჭოს (Global Research Council – GRC) მე-6 წლიური შეხვედრა. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახით საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ ფორუმში. შეხვედრის მთავარი მიზანი გახლდათ სამეცნიერო ფონდებისა და მეცნიერების დამფინანსებელ სააგენტოებს შორის კავშირებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, ფუნდამენტურ კვლევებსა და ინოვაციებს შორის დინამიური ურთიერთკავშირის გაძლიერების საკითხების განხილვა.



აღმასრულებელი სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად განხილულ იქნა საქართველოს ჩართულობის შესაძლებლობები კვლევების გლობალური საბჭოს სამომავლო ინიციატივებში.



პროექტის Black Sea Horizon საერთაშორისო კონფერენცია

ქ. ათენში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით ევროკავშირისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სფეროში. კონფერენციაზე განიხილეს ერთობლივი თანამშრომლობის პროგრამა ევროკავშირისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ჩართულობით: დასახული მიზნები და ამოცანები, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი შინაარსობრივი თუ საორგანიზაციო საკითხები, ჩართული მხარეების მონაწილეობა.

კონფერენციას ესწრებიან ევროკომისიის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამეცნიერო ფონდების, საერთაშორისო კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროს ადმინისტრირების პროცესში ჩართული ინსტიტუციები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან.



EaP Plus გრანტი საშუამავლო ღონისძიებებსა და მოსამზადებელ შეხვედრებში საქართველოს მეცნიერების მონაწილეობისთვის

სამეცნიერო ფონდი მონაწილეობს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის (Horizon 2020) ფარგლებში დაფინანსებულ საგრანტო პროექტის „STI International Cooperation Network for EaP Countries Plus (EaP PLUS)” შესრულებაში. EaP PLUS პროექტი მიზნად ისახავს აღმოსავლეთის თანამშრომლობის ქვეყნებისა და ევროკავშირის ქვეყნების მეცნიერებს შორის თანამშრომლობის წახალისებასა და

აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების Horizon 2020-ში ჩართულობის ხელშეწყობას.

პროექტის ერთ-ერთი ამოცანის ფარგლებში, გათვალისწინებულია საქართველოს მეცნიერთა მხარდაჭერა ევროკავშირის ქვეყნებში ე.წ. „საშუამავლო ღონისძიებებში“ და Horizon2020-სთვის განკუთვნილი საპროექტო განაცხადების მოსამზადებელ შეხვედრებში მონაწილეობის თვალსაზრისით.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის (ISTC) გენერალური საბჭოს სხდომა

13 ივნისს ყაზახეთში, ქ. ასტანაში გაიმართა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის (ISTC) გენერალური საბჭოს სხდომა, რომელსაც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, წარმომადგენლობა, როგორც საბჭოს წევრი, დაესწრო. სხდომას საანგარიშო ხასიათი ჰქონდა, მონაწილეებმა განიხილეს 2016 წლის საბჭოს ბოლო შეხვედრის, სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის, ISTC წარმომადგენლობითი ოფისების ანგარიშები. ასევე, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის (ISTC) 2017 წლის ბიუჯეტის, მიზნობრივი პროექტებისა და სამომავლო მიზნობრივი პარტნიორობის საკითხები. მხარეებმა, ასევე, იმსჯელეს 2018 წლის შეხვედრების გრაფიკზე.





ფონდის აქტივობები

ფონდში გაიმართა 8
საკონსულტაციო შეხვედრა





საკანონმდებლო ცვლილება

აღდგენილია ფონდის კონკურსების შემფასებელ გარეშე ექსპერტთა კონფიდენციალობის საკითხი. საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებებით (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტი, ცვლილების თარიღი 16.06.2017), კონფიდენციალურია იმ ექსპერტთა ვინაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო საგრანტო, აგრეთვე ინოვაციური პროექტის დაფინანსების კონკურსის/კონკურსების ფარგლებში წარდგენილი პროექტების შეფასებას. ამასთანავე, 2017 წლის 16 ივნისს ცვლილება შევიდა "მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე/151 მუხლში და

დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი: "იმ ექსპერტთა ვინაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო ფონდის მიერ ადმინისტრირებული საგრანტო კონკურსის/კონკურსების ფარგლებში წარდგენილი პროექტების შეფასებას, კონფიდენციალურია."

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. თბილისი, ალექსიძის №1, III სართ.

info@rustaveli.org.ge

ტელ. 2 200 220



YouTube

